



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

შპს-ის თვის მიმოხილვა

2023

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საბარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი.....	11
ფულადი ბაზარი.....	14
მონეტარული აგრიგატები.....	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


2023 წლის აპრილში წლიური ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს დაუახლოვდა და 2.7% შეადგინა, ხოლო მარტთან შედარებით ფასები 0.7%-ით შემცირდა.

საქართველოში ინფლაციას შემცირების ტენდენცია აქვს. საერთაშორისო ბაზრებზე საქონლის ფასები სტაბილურად იკლებს და მცირდება საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულებაც. ეს ტენდენციები საქართველოს ბაზარს გადმოეცემა და გამყარებული ლარის კურსის ფონზე ინფლაციას ამცირებს. ინფლაციის შემცირებას გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკაც ხელს უწყობს.

თვის ინფლაცია -0.7% (წლილი)



წლიური ინფლაცია 2.7% (წლილი)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები


წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

აპრილში, წინა თვესთან შედარებით, სურსათის ჯგუფის ფასებმა 2.2%-ით მოიკლო, რამაც თვის ინფლაცია 0.7 პპ-ით შეამცირა. კერძოდ, წინა თვესთან შედარებით სურსათის ჯგუფის ინფლაციის კლება მეტწილად მხესუმზირის ზეთის, იმერული ყველისა და პურის ფასების შემცირებამ განაპირობა. ამასთანავე იკლებს საწვავის ფასებიც. ბენზინის და დიზელის, შესაბამისად, 4.1% და 6.2%-ით გაიფარებამ ჯამურად თვის ინფლაცია 0.2 პპ-ით შეამცირა. საპირისპიროდ, ძროხის ხორცის, ხახვის, საბანკო მომსახურებისა და სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტების გაძვირებამ თვის ინფლაცია 0.3 პპ-ით გაზარდა.

აპრილში წლიური ინფლაციის შემცირება მეტწილად საწვავისა და მედიკამენტების ფასების კლებამ განაპირობა. ამავდროულად სურსათის ინფლაციაც ეცაპობრივად მცირდება და მისი წვლილი მთლიან ინფლაციაში კლებადია. ბოლო თვეებში საწვავის (ბენზინი, დიზელი და გაზის საწვავი) თანდათან გაიფარების ფონზე, საწვავის წვლილი ინფლაციაში უარყოფითი გახდა და აპრილში ამ მაჩვენებელმა -2.0 პპ შეადგინა. ფართოდ მოხმარებადი მედიკამენტების გაიფარებამ წლიური ინფლაცია 1.2 პპ-ით შეამცირა. აპრილში, სურსათის ფასები წინა წელთან შედარებით 5.8%-ით არის გაზრდილი, რამაც მთლიან ინფლაციაში 1.8 პპ-იანი წვლილი შეიძინა. სურსათის ინფლაცია მეტწილად ხორცზე, კარტოფილზე და ყველზე გაზრდილი ფასებს უკავშირდება. მიუხედავად ბოლო პერიოდში პურის გაიფარებისა წლიურ ინფლაციაში მისი კონტრიბუცია კვლავ დადებითია და 0.3 პპ-ს შეადგენს.


საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალაქი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომადარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს შემცირდა და 4.7% შეადგინა.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში





წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ინფლაციის შემცირებას მეტწილად იმპორტული ინფლაციის კლება განაპირობებს. ბოლო თვეებში იმპორტულ ინფლაციას მკვეთრად კლების ტენდენცია აქვს, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარება უწყობს ხელს. აპრილში იმპორტირებული საქონლის წლიური 6.4%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა. დაახლოებით ასეთივე დინამიკას აქვს შერეულად წარმოებული პროდუქტების ფასებს, რომელთა დეფლაცია აპრილში 2.4%-ს გაუტოლდა.

ჯერ ისევ მალაღია, თუმცა ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ წინა თვესთან შედარებით, ძირითადად სურსათის ხარჯზე, 1.4 პპ-ით მოიკლო და 10.6% შეადგინა. მალაღი ადგილობრივი ინფლაცია ზოგიერთი ადგილობრივად წარმოებული სურსათის (პირველ რიგში პური, ყველი, ხორცი) და მომსახურების წლიურ გაძვირებას (10.8%) უკავშირდება. თავის მხრივ, მომსახურების მალაღი ინფლაცია დიდწილად უცხოელთა რაოდენობის მკვეთრი მატების შედეგად მომსახურებაზე გაზრდილი ფასებით შეიძლება აიხსნას. აქედან ყველაზე გამოსარჩევი, ბინის ქირაა, რომლის წვლილი მომსახურების ინფლაციაში 2.3 პპ-ია.

ინფორმული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


ინფლაცია დეტალურად	2023 წლის წონები	აპრ23/მარ23		აპრ23/აპრ22	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	-0.7%	-0.7%	2.7%	2.7%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.7%	-2.1%	-0.7%	5.9%	2.0%
სურსათი	30.9%	-2.2%	-0.7%	5.8%	1.8%
პური და პურპროდუქტები	6.1%	-2.1%	-0.1%	9.2%	0.5%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	1.1%	0.1%	9.1%	0.6%
თევზი	0.5%	-0.5%	0.0%	6.7%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.9%	-3.4%	-0.2%	10.1%	0.6%
ზეთი და ცხიმი	2.6%	-7.7%	-0.2%	-14.8%	-0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	1.1%	0.0%	-4.4%	-0.1%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.4%	-6.3%	-0.2%	10.8%	0.4%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.2%	0.7%	0.0%	1.5%	0.0%
კვების სხვა პროდუქტები	0.7%	-4.0%	0.0%	-1.3%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.9%	-0.7%	0.0%	6.7%	0.2%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.9%	0.2%	0.0%	6.7%	0.5%
დანსაცემელი და ფესხაცემელი	4.0%	2.1%	0.1%	0.7%	0.0%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	-0.3%	0.0%	10.3%	0.9%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.2%	-1.1%	-0.1%	4.9%	0.2%
ჯანმრთელობის დაცვა	9.4%	0.9%	0.1%	-7.9%	-0.8%
ტრანსპორტი	12.3%	-2.0%	-0.2%	-12.9%	-1.8%
კავშირგაბმულობა	3.6%	0.1%	0.0%	-3.1%	-0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.1%	0.0%	0.0%	2.7%	0.1%
განათლება	4.4%	0.0%	0.0%	6.8%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.6%	0.0%	11.9%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	1.4%	0.1%	12.1%	0.6%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	63.6%	-1.3%	-0.8%	0.3%	0.2%
საშუალო მოხმარების საქონელი	7.1%	0.4%	0.0%	1.7%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	4.9%	-0.5%	0.0%	-10.2%	-0.6%
მომსახურება	24.4%	0.3%	0.1%	10.8%	2.5%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


2023 წლის მარტში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 6.34 მლრდ ლარით გაიზარდა (თვიურად 264.2 მლნ ლარით შემცირდა) და 43.4 მლრდ ლარი შეადგინა. სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად 17.1%-ით გაიზარდა, ძირითადად ეროვნული ვალუტის დეპოზიტების მატების გავლენით. კერძოდ, მარტში წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 428.3 მლნ ლარით (2.2%-ით) გაიზარდა და 20.2 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად ფიზიკური პირების დეპოზიტების მატებამ გამოიწვია. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 32.6 მლნ დოლარით შემცირდა, რაც ძირითადად იურიდიული პირების დეპოზიტების კლებას უკავშირდება. მარტში, სამთავრობო სექტორის დეპოზიტები 14.3 მლნ ლარით გაიზარდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიმდინარე წლის მარტში დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე) წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 6.5% შეადგინა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი მცირედით, 0.01 პპ-ით 8.7%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 0.9%-ს შეადგენს. რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა, რაც მეტწილად ლარისა და აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ განაპირობა. კერძოდ, ლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 12.1% შეადგინა. აშშ დოლარის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით 1.1%-მდე შემცირდა. ხოლო, ევროს ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 0.9%-მდე გაიზარდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


უცხოური და ეროვნული ვალუტის დეპოზიტების ზრდის ცემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაცია, 2023 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით შემცირდა და 53.6%-ს შეადგენს. მარტის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.7-0.7 პპ-ით შემცირდა და შესაბამისად 39.3% და 68.5% შეადგინა. კლებად ტენდენციას განაგრძობს ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია. კერძოდ, მარტში ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 2.0 პპ-ით და 63.7%-მდე შემცირდა.

დამოზიდვის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ფიზიკური პირების ვალდანი დამოზიდვის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2023 წლის მარტში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 13.8% გაიზარდა. სესხების ზრდის ცემპი წინა თვესთან შედარებით 0.6 პპ-ით გაიზარდა. მარტში, ლარით დაკრედიტება წლიურად 16.7%-ით, 24.9 მლრდ ლარამდე გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 8.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტება (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 10.4%-ით გაიზარდა და მთლიანი სესხების ზრდაში 5.7 პპ-იანი წვლილი შეიტანა. უცხოური ვალუდით დაკრედიტების ზრდა ძირითადად ბიზნეს სესხების ზრდით არის განპირობებული, რომლის წვლილი მთლიანი სესხების ზრდაში, წინა თვესთან შედარებით, 0.4 პპ-ით გაიზარდა, იპოთეკური სესხების წვლილი კი 0.3 პპ-ით შემცირდა. შემცირებას განაგრძობს სამომხმარებლო სესხების ზრდის ცემპი.

სესხების წლიური ზრდის დამაკვირვებელი (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხები მიზნობრიობის მიხედვით (წლიური ზრდის დამაკვირვებელი; კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიმდინარე წლის მარტში სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით შემცირდა და 13.2% შეადგინა. ეროვნული ვალუდით სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით 16.6%-მდე შემცირდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით 8.1%-მდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სესხებზე (ნააკალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნააკალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და მიმდინარე წლის მარცში 14.1% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 13.1% შეადგინა. წამყვანი ცენტრალური ბანკების მიერ მონედარული პოლიტიკის განაკვეთების ზრდასთან ერთად ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ვალუდით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მალაღონებულად დონეზეა. კერძოდ, მარცში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით 9.0%-მდე გაიზარდა. უცხოური ვალუდით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ით - 7.1%-მდე შემცირდა.


მარცში მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციამ, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით მოიმატა და 44.3%-ს გაუცოლდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.8 პპ-ით გაიზარდა და 61.2%-ს შეადგენს, ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია 0.2 პპ-ით 29.9%-მდე გაიზარდა. მარცში, ვადაგადაცილებული სესხები წინა თვესთან შედარებით 125.2 მლნ ლარით შემცირდა და 437.6 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 40.5% ეროვნული ვალუდით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)

ვადაგადაცილებული დავალიანება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო საქონლის ბალანსი

2023 წლის მარცში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 33.7%-ით გაიზარდა და 688.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გაღრმავება ძირითადად საქონლის იმპორტის ზრდას უკავშირდება.** აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტმა წლიურად 33.4%-ით, 1,235.0 მლნ აშშ დოლარამდე მოიმატა, ხოლო ექსპორტი წლიურად 32.9%-ით გაიზარდა და 546.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა

სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (მარცხი 2023)




წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი


იმპორტი - 2023 წლის მარცში საქონლის იმპორტის მატება უმეტესად სამომხმარებლო სახის საქონლის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, სამომხმარებლო სახის საქონლიდან მეტწილად მსუბუქი ავტომობილების შესყიდვები გაიზარდა, რომელთა დიდი წილი რეექსპორტზე გადის. სამომხმარებლო ჯგუფიდან ასევე მალაღონი იყო საცელეფონო აპარატების, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების შესყიდვები. შუალედური სახის საქონლის იმპორტის ჯგუფიდან შავი მეტალოკონსტრუქციების ზრდა გამოირჩეოდა, ხოლო რეექსპორტისთვის განკუთვნილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთანავე, მეორე მსხვილი საიმპორტო ჯგუფის - ნავთობის აირების - იმპორტი შემცირდა, რამაც შუალედური სახის საქონლის იმპორტის ზრდა შეანელა. საინვესტიციო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე საცვროთო ავტომობილებისა და სამშენებლო მანქანების შესყიდვებმა გაზარდა. მთლიანობაში, საქონლის იმპორტი წინა წელთან შედარებით რეალურად 37.7%-ით გაიზარდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან იმპორტის მატებაში მალალი წვლილი შეიტანა თურქეთმა, რაც მსუბუქი ავტომობილებისა და შავი მეტალოკონსტრუქციების შემოტანის მატებას უკავშირდება. რუსეთიდან იმპორტის მატება კვლავ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ზრდამ განაპირობა, თუმცა მარცში ნავთობის აირების შემოტანა შემცირდა. უკრაინიდან იმპორტი მცირედით გაიზარდა ალაოსა და მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების გავლენით. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია გერმანიიდან, იაპონიიდან და აშშ-დან მსუბუქი ავტომობილების, ხოლო არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საცელეფონო აპარატებისა და სიგარეტები-სიგარილების იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა. ამის საპირისპიროდ, სერბეთიდან, ინდონეზიიდან და ჩინეთიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო ბულგარეთიდან და თურქმენეთიდან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.


მარცში იმპორტირებულ საქონელში, წამყვანი წილი მსუბუქ ავტომობილებს, ასევე ნავთობპროდუქტებსა და ნავთობის აირებს (25%-იანი წილი მთლიან იმპორტში) ეჭირა. აღსანიშნავია, რომ მარცში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის მარცთან შედარებით უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (მარტი, 2023, მლნ აშშ დოლარი)

კატეგორია	მნიშვნელობა	ნავთობის აირები, 49			საინვესტიციო აპარატები, 35		გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, 25
		ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 93	სამკურნალო საშუალებები, 43	საბილენძის მადნები და კონცენტრატები, 23	მეტალოკონსტრუქციები, 14	საფერითო ავტომობილები, 13	
მსუბუქი ავტომობილები,	165						
სიგარები-სიგარეტები,	12						

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში - (მარტი, 2023)



წყარო: საქსტატი


ექსპორტი - 2023 წლის მარცში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 32.9%-ით გაიზარდა. საქონლის ექსპორტის ზრდა მეტწილად სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა, ხოლო შუალედური საქონლის ექსპორტმა მნიშვნელოვნად დაიკლო. **სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის მატებაში მნიშვნელოვანი წვლილი (130.9 მლნ აშშ დოლარი) მსუბუქი ავტომობილებმა შეიტანა.** გარდა ამისა, შუალედური სახის საქონლის ჯგუფში ფეროშენადნობებისა და სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტი წლიურად არსებითად შემცირდა, რამაც მთლიანი ექსპორტის ზრდა შეანელა. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო საქონლიდან გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების, ასევე საფერითო ავტომობილებისა და სამშენებლო მანქანების ექსპორტი მალალი იყო. მარცში საქონლის ექსპორტის მოცულობა რეალურად 39.7%-ით გაიზარდა.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორტო შემოსავლების ზრდაში მალალი წვლილი შეიძლება სომხეთში ექსპორტის მატებამ, რაც კვლავ მსუბუქი ავტომობილების მნიშვნელოვნად გაზრდილ გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აზერბაიჯანში მსუბუქი ავტომობილების, ხოლო რუსეთში კი ყურძნის ნაცურალური ღვინოების, მსუბუქი ავტომობილებისა და მინერალური წყლების ექსპორტი გაიზარდა. **ყირგიზეთთან, ყაზახეთთან და ტაჯიკეთთან, მსუბუქი ავტომობილების მალალი რექსპორტის გამო, ამ ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობის ბალანსი, იანვარ-თებერვლის მსგავსად, მარტში კვლავ დადებითი იყო.** დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბულგარეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო პერუში, ინდოეთსა და რუმინეთში მინერალური და ქიმიური სასუქების გაყიდვების ზრდა. ამის საპირისპიროდ, ჩინეთში სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატების, აშშ-ში ფეროშენადნობების, ხოლო მოზამბიკში მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტი არსებითად შემცირდა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორზე მთლიანი ექსპორტის 71% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.


მარტში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს, სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს, ასევე მინერალურ და ქიმიურ სასუქებს ეჭირა (50%-იანი წილი მთლიან ექსპორტში). საქონლის ექსპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (37.1 პპ მთლიან ზრდაში) მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა შეიძინა, რომელიც წლიურად 8-ჯერ გაიზარდა. ექსპორტის მოცულობაზე სპირტიან სასმელებზე, ყურძნის ნაცურალურ ღვინოებზე, მინერალურ წყლებსა და სიგარეტები-სიგარიტებზე საგარეო მოთხოვნის არსებითი მატება (ჯამურად 7.3 პპ წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, ფეროშენადნობების, ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ჯგუფების ექსპორტი შემცირებულია. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (მარტი 2023, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 175	სპირტიანი სასმელები, 16	სპილენძის მადნები და კონცენტრატები, 62	მინერალური/ქიმიური სასუქები, 34
		ყურძნის ღვინოები, 22	მინერალური წყლები, 11
		მისურები, თბილი კვარტები, 11	თხილი და სხვა კაკალი, 10
		სამკურნ. საშუალებები, 10	ფეროშენადნობები, 10

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში (მარტი 2023)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - 2023 წლის მარტში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 127.1%-ით მოიმატა და 438.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 26.7%-ით 30.4 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.


რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები მარტში კვლავ მალალი იყო (224 მლნ აშშ დოლარი), რაც წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 8.3-ჯერ მეტია. მარტში, რეგიონის ქვეყნებიდან, ყაზახეთიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები მალალი ცემპით გაიზარდა (130.8%-ით) და მთლიანი გზავნილების ცვლილებაში 5.1 პპ-იანი წვლილი შეიტანა. ასევე ყირგიზეთიდან გაზრდილი ფულადი გზავნილებიც ზრდას მალალი ცემპით განაგრძობს (165.1%-ით). ხოლო უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები კვლავ შემცირებას განაგრძობს. მალალი ცემპით გაიზარდა აშშ-დან გადმორიცხული ფულადი სახსრებიც (40.4%-ით). **მარტში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს რუსეთი (51.0%), ევროკავშირის ქვეყნები (24.6%) და აშშ (8.2%) წარმოადგენდა.** ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მალალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (მარტი 2023)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი


2023 წლის მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6468-დან 2.5876-მდე (2.2%-ით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 2.8389-დან 2.7646-მდე (2.6%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.5604 და 2.7862 შეადგინა. მარტში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 2.6169, ხოლო მინიმალურმა 2.5604 შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტში გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები საშუალო დონიდან თითქმის თანაბრად იყო გადახრილი.


მარტში დოლართან მიმართებაში შესამჩნევია ლარის გამყარება, ასევე გამყარების ტენდენცია ჰქონდა სომხურ დრამს. ევრო და თურქული ლირა მცირედით, ხოლო რუსული რუბლი მნიშვნელოვნად გაუფასურდა, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (2023 წლის მარტი; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები გამყარებას განაგრძობს. მარტში წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 17.5%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 27.7%-ით გამყარდა. რაც შეეხება თვიურ ტენდენციას, წინა თვესთან შედარებით, ამავე პერიოდში ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.3%-ით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 3.2%-ით გამყარდა. ეფექტური კურსის გამყარება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად აისახება, თუმცა იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებს. სავაჭრო პარტნიორთაგან მარტში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, ევროზონაში, ბელარუსსა და სომხეთში საქართველოზე მაღალი იყო, ხოლო დაბალი - აშშ-სა და რუსეთში. ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან 2020=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები (2023 წლის მარტი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


მარცში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 13 ბანკი და 5¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით თვიურად კონცენტრაცია პრაქტიკულად არ შეცვლილა. **შერფინდალ-ჰირშმანის (HH) ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.**

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილებს მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 335.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 153.1 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის მარცთან შედარებით 185.8 მლნ აშშ დოლარით მეტია. ამავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 29.2%-ით, ხოლო წლიურად 39.7%-ით გაიზარდა.


2023 წლის მარცში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.3%) და 3,056.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 606.4 მლნ აშშ დოლარით (თვიურად 548.5 მლნ აშშ დოლარით) არის გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, დანარჩენი კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 7.2% იყო. ჯამურად წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 219.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

1 რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე



საოტ პარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარტში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება გაზრდილია. საერთო ჯამში, მარტში საოტ გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 350.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 299.9 მლნ აშშ დოლარით) და 1,562.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება, წლიურად 255.7 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 248.6 მლნ აშშ დოლარით) და 1,494.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოტ გარიგებებით როგორც ვალუტის შექმნაში, ასევე ვალუტის გაყიდვაში ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და წინამეურნეობებზე მოდიოდა.


მარტში სავალუტო ფორვარდ³ გარიგებებით კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობა წლიურად 8.8 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვიურად 18.5 მლნ აშშ დოლარით შემცირდა) და 21.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი არარეზიდენტ ბანკებსა და იურიდიულ პირებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვამ 2.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ბანკთაშორისი საოტ პარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფორვარდ პარიგებებით უცხოური ვალუტით ვაჭრობა





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2023 წლის მარტში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა თვიურად 283.6 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. საერთაშორისო რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მეტწილად ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა, ხოლო კლების მიმართულებით უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებზე დასაცავი სარეზერვო ნორმების მოცულობის შემცირებამ, ასევე მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ იმოქმედა.

3 სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

მროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რაზარვაზი მთლიანი საერთაშორისო რაზარვაზის თვიური ცვლილება (მიზინარა კურსით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

მარცში სადებოზიცი სერციფიკაციების ერთი აუქციონი ჩაფარდა და 20 მლნ ლარის ღირებულის სამთვიანი სადებოზიცი სერციფიკაცი გაიცი. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადებოზიცი სერციფიკაცი დაიფარა. შესაბამისად წინა თვესთან შედარებით, სადებოზიცი სერციფიკაციების ნაშთი არ შეცვლილა და მარცის ბოლოს 60 მლნ ლარი შეადგინა.


მარცში სახაზინო ფასიანი ქალაღდების ხუთი აუქციონი ჩაფარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 230.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქალაღდები განთავსდა. მარცში ჩაფარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი ვაღიანობების სახაზინო ფასიანი ქალაღდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 90 და 60, მლნ ლარის ოღენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქალაღდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 303.5 მლნ ლარით გაიზარდა და 6,843.8 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორციფელის 55.9%-ს კომერციული ბანკების, 30.5%-ს ეროვნული ბანკის, 8.7%-ს რეზიდენციების, ხოლო 4.9%-ს არარეზიდენციების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქალაღდები შეადგენს.

საღვაოზიცი სართიფიკაციების მოცულობა (ნააკლი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სახაზინო ფასიანი ქალაღდების მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მარცში, სადებოზიცი სერციფიკაციების საპროცენცი განაკვეთი შემციარდა, ხოლო სახაზინო ვაღდებულებების საპროცენცი განაკვეთები მციარდით გაიზარდა. კერძოდ, მარცში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიცი სერციფიკაციებზე საშუალო შეწონილი საპროცენცი განაკვეთი 0.06 პპ-ით, 9.79%-მღე, შემციარდა. რაც შეეხება სახაზინო ვაღდებულებების საპროცენცი განაკვეთებს, 6-თვიანი სახაზინო ვაღდებულებების განაკვეთი 0.17 პპ-ით გაიზარდა და 9.64%-ს შეადგენდა. ერთწლიანი სახაზინო ვაღდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენცი განაკვეთი 9.62% იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.22 პპ-ით მეცია. ორწლიანი სახაზინო ვაღდებულებების საპროცენცი განაკვეთი არ შეცვლილა და 8.70%-ზე შეწარჩუნდა. ასევე, ხუთწლიანი სახაზინო ვაღდებულებების საპროცენცი განაკვეთიც პრაქციკულად არ შეცვლილა და 8.67%-ს შეადგენდა. ათწლიანი სახაზინო ვაღდებულებების განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.05 პპ-ით გაიზარდა და 8.70%-ს შეადგენდა.

ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის შამოსავლიანობის მრუდი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა, თვიურად 3,747.1 მლნ ლარით, (წლიურად 6,993.4 მლნ ლარით გაიზარდა) 13,372.4 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც ძირითადად უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის ზრდამ განაპირობა. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (81.2%), რომლის მოცულობაც თვიურად 2,799.5 მლნ ლარით (34.7%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი, თვიურად 947.6 მლნ ლარით (60.4%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის და უცხოური ვალუტის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.04 პპ-ით გაიზარდა და შესაბამისად 10.55% და 1.69% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ მარცში ფულადი ბაზრის რესურსის 21.5% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 77.9% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული აბრეგატები

2023 წლის მარცში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 128.0 მლნ ლარით (2.2%) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის 5.6 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა საშუალო მაჩვენებლის მიხედვით წინა თვესთან შედარებით, 61.9 მლნ ლარით (1.1%-ით) შემცირდა.


საბანკო სისტემაში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 8.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა თვის განმავლობაში 219.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მთლიანობაში შიდა სამთავრობო კონვერტაციებით, სავალუტო ინტერვენციებით და BMatch მექანიზმით, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 210.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. მარცში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 746.2 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 1513.4 მლნ ლარს გაუცოლდა.

სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კომპონენტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიმდინარე თვეში, ნაღდი ფულზე მოთხოვნა 140.5 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხები წინა თვესთან შედარებით 35.0 მლნ ლარით შემცირდა და 1,325.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელად 400 მლნ ლარზე შენარჩუნდა, ხოლო ერთდღიანი სესხი 70.0 მლნ ლარით შემცირდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდაჭერი სესხის ნაშთი 9.9 მლნ ლარით შემცირდა და 296.0 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, განთავსდა და დაიფარა 20-20 მლნ ლარის ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მთლიანობაში, მიმდინარე თვეში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 115.3 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 1961.7 მლნ ლარს გაუცოლდა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 60.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 60.0 მლნ ლარით გაიზარდა.


2023 წლის მარტში ფართო ფულის (M3) მოცულობა თვიურად 112.9 მლნ ლარით ზრდა, M2 აგრეგატის ზრდის გავლენით. თავის მხრივ, M2 აგრეგატის ზრდა (გაიზარდა 636.6 მლნ ლარით) მეცნილად ეროვნული ვალუტის დებოზიტების ზრდამ განაპირობა (გაიზარდა 534.7 მლნ ლარით).

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ტელეფონური ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

